შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2022 წლის 11 მარტი

დაბა შუახევი

„შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №2 დადგენილებაში (გამოქვეყნებული ვებგვერდზე: www.matsne.gov.ge; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.135.016277) და დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **როსტომ ლორთქიფანიძე**